შპს "ჯეო სტილი"

საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მტკვარის ქ., N4, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404578319, ტელ: (+995) 599 449 990

№11/01
11.09.2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „ჯეო სტილს" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404578319) დაგეგმილი მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მშენებლობა და ექსპლუატაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში მდებარე 20 000.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შ.პ.ს. „ჯეო სტილი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში.. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №81.07.14.153.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის მე-6 პუნქტის თანახმად "მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გზშ-ს ექვემდებარება კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს №2-818 ბრძანებით გამოცემული იქნა 2019 წლის 20 აგვისტოს №85 სკოპინგის დასკვნა.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების მიმდებარედ შპს „ჯეო სტილის" სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და აღდგენის, მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს №2-818 ბრძანების საფუძველზე წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს და 2019 წლის 20 აგვისტოს №85 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას.

დანართი: 1. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;
2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;

№ 15073
22 10 2019
2/ СЪ

3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;
4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

თამაზ ბერეჟიანი
შ.პ.ს. „ჯეო სტილი"-ს დირექტორი